Khobi
Municipality

Digitally signed by
Khobi Municipality
Date: 2019.10.15
12:38:57 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N196

თბილისი 15 ოქტომბერი 2019 წელი

ერთი მხრივ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი (შემდგომში – ინსტიტუტი), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **გელა წიკლაურის** სახით და მეორე მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – დამკვეთი), წარმოდგენილი მისი მერის, გოჩა ქაჯაიას სახით, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის IX[1] თავის, 36[1] მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

შესყიდვა ხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,1[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 **ხელშეკრულება** - ინსტიტუტსა და დამკვეთს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 **ხელშეკრულების ღირებულება** - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა ინსტიტუტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხარისხიანი შესრულებისათვის.

1.3 **დღე, კვირა, თვე** - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ინსტიტუტის მხრიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილი პირისთვის: (1. ვარაზ გაბედავა პ/ნ-- 58001004187 2. ირაკლი ძიძიგური პ/ნ -62001028878) 2019 წლის 21 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრის ჩათვლით დაგეგმილი, თვითმმართველობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, „შიდა აუდიტი მუნიციპალიტეტებისათვის" ტრენინგკურსის მომსახურების გაწევა.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრულ ტრენინგკურსზე რეგისტრაცია განხორციელდება 2019 წლის 19 ოქტომბერამდე.

2,3 კლასიფიკატორის კოდი: 80500000 (სატრენინგო მომსახურება)

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდის პირობები

3.1 ხელშეკრულების ღირებულება ერთ პირზე შეადგენს **700** (შვიდასი ლარი) ლარს, დღგ-ის ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1400.00 (ერთი ათას ოთხასი) ლარს, დღგ-ის ჩათვლით.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა 1400.00 ლარი, წარმოადგენს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული პირებისთვის გასაწევი მომსახურებისათვის ასანაზღაურებელ თანხას.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს მომსახურების მიწოდების, შემდგომ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

3,5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსი.

მუხლი 4. მხარეთა უფლება - მოვალეობები

4.1 დამკვეთს უფლება აქვს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება მიიღოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

4.2 დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს ინსტიტუტს ხელშეკრულების საფასური ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.3 ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებულ პირთა მიერ კურსის მიტოვების ან დაუსრულებლობის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია ინსტიტუტს აუნაზღაუროს 3.2 პუნქტში აღნიშნული თანხა, ტრენინგკურსის დასრულების შემდეგ, ინსტიტუტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

4.4 ინსტიტუტს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

ინსტიტუტი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №22, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციული შენობა.

მუხლი 6. ფორსმაჟორი

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

6.2 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გაგრძელდა 15 (თხუთმეტი) დღეზე მეტი დროით, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების გაგრძელების შესაძლებლობა. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე, მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით აფრთხილებს მას, შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

7.3 ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

8,1ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხარეთ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებისთანავე

8.2 ხელშეკრულება მოქმედებს ხელმოწერის დღიდან 2019წლის 25 დეკემბრის ჩათვლით

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არანაირი სახის გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით, დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. დავების განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები, ხოლო შეთანმხების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. დამატებითი პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, თავისი უფლებები ან ვალდებულება გაასხვისოს, ან გადასცეს მესამე პირს.

11.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნება რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი – მიმწოდებელთან.

საფუძველი: ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსის ირაკლი ძიძიგურის მოხსენებითი ბარათი (N2767 /11 07.10.2019წ)

მხარეთა ხელმოწერები

ინსტიტუტი	დამკვეთი
სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	ხობის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №96 **საიდენტიფიკაციო კოდი:** 206350312 **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა **მიმღების დასახელება:** ხაზინის ერთიანი ანგარიში **ბანკის კოდი:** TRESGE22 **მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:** 707727122	საიდენტიფიკაციო კოდი: 244688600; მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. 189 ტელეფონი: 599856082 საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკი. ბანკის კოდი: BNLNGE22; ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022 ელ. ფოსტა: office@khobi.gov.ge
დირექტორი გელა წიკლაური ხელმოწერა: _____ Gela Tsiklauri Digitally signed by Gela Tsiklauri Date: 2019.10.15 15:10:15 +04'00'	მერი გოჩა ქაჯაია ხელმოწერა: _____

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ხობი 15 ოქტომბერი 2019 წელი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ სატრენინგო მომსახურების შესყიდვაში მონაწილე მიმწოდებელთან სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტთან არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერი: გ. ქაჯაია

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსი: ი. ძიძიგური